ანტიფონები (23.1.2022)

სამი ანტიფონე, რომელიც იგალობება სამშვიდობო ეკტანიის შემდეგ საღვთო ლიტურღიაზე, წარმოადგენს ამორჩეულ ფსალმუნებს, რომელსაც ემატება ღვთის მცნებები. არსებობს წესდევები, რომლებიც ზუსტად უჩვენებენ თუ რომელი ფსალმუნები იგალობება, რომ მათი მნიშვნელობა გარკვეულქდ ესადაგებოდეს იმ დღეს, ან მოვლენას, რომელსაც მოცემულ დღეს ეკლესია აღნიშნავს. ყველაზე ხშირად იხმარება ორი ფსალმუნი - 102 ,,აკურთხევს სული ჩემი უფლისა და ყოველი გონება ჩემი - სახელსა წმიდასა მისსა..." და 145 ,,აქებს სული ჩემი უფალსა. ვაქებდე უფალსა, ცხოვრებასა ჩემსა, უგალობდე ღმერთსა ჩემსა, ვიდრემდის ვიყო მე..." მას იმიტომ ეწოდება ანტიფონები, რომ საჭიროა მათ ასრულებდეს საეკლესიო მგალობელთა ორი გუნდი. პირადი მონაწილეობისათვის ღვთისმსახურებაში სასურველია ყველა მორწმუნემ დაბალი ხმით გაიმეოროს გუნდთან ერთად ფსალმუნის სიტყვები. ტიპიკონი აგრეთვე განსაზღვრავს, რომელ დღეებში დაემატება ფსალმუნთა გალობას გალობები ,,ღვთისმშობლის კურთხევით, გვიხსენი, დაგვიფარენ ჩვენ" პირველ ანტიფონს და ,,გვიხსენ ჩვენ, ძეო ღვთისაო". მეორე ანტიფონს.

ეკლესია ანტიფონებით გვიჩვენებს, რომელსაც აქვს მყარი ცნობიერება, რომ ქრისტე არის მისი მხსნელი და გამომხსნელი. აგრეთვე მათში ეკლესიის სულიერი სიძლიერისათვის განსაკუთრებით გამოირჩევა წმინდა ღვთისმშობლის პიროვნება, რომელსაც შუამდგომლობას ვთხოვთ: ღვთისმშობლის ლოცვით შეგვიწყალე, შეგვიწყალე ჩვენ". უფალო, შენ ხარ ის, - ვინც გამოგვიხსნის: ,,ზეცაში არავინაა მისი მსგავსი, ბოძებული კაცობრიობისათვის, რომლის მეშცეობითაც უნდა მოხდეს ყველას გადარჩენა". ამბობს ღვთის სიტყვა. ქრისტე - ჩვენი მხსნელი და გამომხსნელი. ჩვენი მაცხოვრის გამომსყიდველური ღვაწლისადმი ნდობის ამ გაცნობიერებით მართლმადიდებლური ეკლესია ითხოვს შეწევნას ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი უფკის მიმართ.

მეორე ანტიფონში ვგალობთ: ,,შეგვიწყალენ ჩვენ, ძეო ღვთისაო" შეგვიწყალენ ჩვენ, მგალობელნი ,,ალილუია." ,,ალილუა"ნიშნავს აქებდით უფლისა. ჩვენ ყველა - ერთი ხალხი, ერთი საზოგადოება, მთლიანი ეკლესიის შემადგენლობა, ხალხი ,,ვინც ეძებს უფალს" - ვართ. ჩვენ აქ ვიმყოფებით, რათა დავარწმუნოთ მსოფლიო, კაცობრიობა, რომ ჩვენ დედამიწის ნაწილი ვართ, რომელსაც სწამს, რომ მხოლოდ უფალი არის მხსნელი და გამომხსნელი, და რომ მსოფლიოს შეუძლია იცხოვროს მხოლოდ ღვთის წყალობით. ჩვენ - ხალხი, რომელიც იმედსა და სასოებას უფალზე ამყარებს და ჩვენ გაგვაჩნია რწმენა, რომ იგი მოგვევლინება ტრიუმფალურ გამარჯვებად ისტორიის ბოლოს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერთ დროს ღვთისგან დაშორებულები ვიყავით, მაგრამ განკაცებული ჩვენი უფლის წყალობით, ჩვენ კვლავ მოგვეცა საშუალება - ახალი და უფრო ნათელი შესაძლებლობა - კვლავ ვიცხოვროთ სამოთხური ცხოვრებით უფლის სიყვარულის დიდი შეგნებით, გამოსყიდებულები და აღმდგრები ქრისტეს აღდგომის გამარჯვებით.

აი რატომ ვგალობთ ეკლესიაში ყველა ერთად, როგორც საძმო კავშირი, რომელსაც სჯერა, რომ უფალი იესო ქრისტეს მადლი გვაძლევს საშუალებას ვიმედოვნოთ ჩვენს ხსნაზე.

პირველი ორი ანტიფონე გვავსებს ოპტიმიზმით და გვეხმარება შევიდეთ უფლის სიყვარულის ახალ სამყაროში და ყველაფერი, რაც ხდება ჩვენს ცხოვრებაში. ვიხედებოდეთ ქრისტეს სახარების პრიზმით და არა მხოლოდ უნაყოფო და ანტაგონისტური ადამიანური ლოგიკის ფონზე.

მეორე ანტიფონს ემატება შთაგონებული გალობა, შექმნილი მე - 6- ე საუკუნეში იმპერატორ იუსტინეს მიერ: ,,მხოლოდშობილო ძეო..." ეს მშვენიერი გალობა მოკლედ აღწერს ღვთის სახლმშენებლობის საიდუმლოს.

,,მხოლოდშობილო ძეო და უფლის უკვდავო სიტყვაო..." თუმცა თავდაპირველად ის არსებობდა მთელი თავისი დიდებით და ძალაუფლებით შემოსილი. გარკვეულ ისტორიულ მომენტში ის ჩამოდის და ხდება ,,სული წმიდისა და ქალწულ მარიამისგან" - ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ რჩება ,,ერთ პირად წმინდა სამებისა, მამასთან და სუკიწმიდასთან ერთად განდიდებული. იგი ევლინება მსოფლიოს თავისი სიყვარულით, რათა მიიღოს ადამიანური ბუნება და თითოეულს მიეცეს შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა ახალ ცხოვრებაში, რომელიც ქრისტეს მოაქვს.

ამრიგად, ეს გალობა რამდენიმე სტრიქონში ასახავს კაცობრიობის ღვთაებრივ დარიგებას და გამოსყიდვის მთელ საიდუმლოს.

ანტიფონებს თავისი შთამაგონებელი და გადიდებული განწყობით ყველა ქრისტიანი უმღერის და მოუთმენლად ელიან ქრისტესთან შეერთების სიხარულს, რომელსაც პატივს მიაგებენ მის წმინდა სხეულთან და სისხლთან ზიარებისას.

,,უწმინდესი, უწმინდესი, უნეტარესი..."

ამ მცირე ლიტანიას ძალიან ხშირად ვიმეორებთ, როგორც საღმრთო ლიტურღიაზე, ისე თითქმის ყველა ყოველდღიურ ლიტურღიულ წირვაზე. და სრულად გასაგებია რატომაც. რამდენიმე სიტყვით ის საუბრობს იმაზე, რაც ჩვენ გვჭირდება როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანებს: ძალა, შუამავლობა, სიკეთე, წყალობა, ხსნა და ღვთის წყაკობა.

ყოველ ჯერზე, როცა დიაკვანი წარმოთქვამს მცირე ლიტანიას, მღვდელი ქედს იხრის და აღავლენს ლოცვას. პირველი ანტიფონის შემდეგ მღვდელი ევედრება უფალს, რომ შეხედოს წმინდა ტაძარში შეკრებილ მორწმუნეებს და თავისი განუზომელი წყალობის მეშვეობით მიანიჭოს მათ ბევრი სიკეთე.

მომდევნო ლოცვაში, მეორე ანტიფონის შემდეგ, მღვდელი იხსენებს უფლის აღთქმას, რომ სადაც ორი ან სამი არის შეკრებილი მისი სახელით (ლოცვისთვის), ის თავად იმყოფება იქ. მღვდელი ევედრება უფალს, რომ შეიწიროს მორწმუნეთა ვედრება, ყველას სასიკეთოთ და ყველას მიანიჭოს ამ ცხოვრებაში სახარების ჭეშმარიტების ცოდნა, ხოლო შემდეგ ცხოვრებაში - მარადისობის სიხარული.

ასე მთავრდება ანტიფონების გალობა.